FOI5/17-001 11 მაისი 2017 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1) **2009-2016 წლებში (ცალ-ცალკე) სისხლის სამართლის კოდექსის 322[1] მუხლის - „ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა“ შესაბამისად გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევების რაოდენობა;**
2) **2009-2016 წლებში (ცალ-ცალკე) სისხლის სამართლის კოდექსის 322[2] მუხლის - „ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება“ შესაბამისად გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევების რაოდენობა და ეჭვმიტანილი კომპანიების ჩამონათვალი;**
3) **2009-2016 წლებში (ცალ-ცალკე) სისხლის სამართლის კოდექსის 322 [1] და 322 [2] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების საქართველოს საზღვარზე დაკავების ან/და საზღვარზე შემოსვლის აკრძალვის შემთხვევების რაოდენობა;**
4) **უცხო ქვეყნის მოქალაქე მაღალი თანამდებობის პირების სია, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევაში. მათი ე.წ. შავ სიაში შეყვანის თარიღის მითითებით.**

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.
გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი